ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
აჭარის სატყეო სააგენტო

G E O R G I A
Ajara Autonomous Republic
Legal entity of public law
Forestry Agency of Ajara

შუახევის სატყეო ადმინისტრაცია

Forestry administration of Shuakhevi

დაბა შუახევი ☎ (0424) 26-00-71 დაბა შუახევი

N 13/121
06.06.2024

121-13-2-202406062013

სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს
უფროსს ბატონ ჯუმბერ აბულაძეს

ბატონო ჯუმბერ,

თქვენი მიმდინარე წლის 22 მაისის N09/879 კორესპონდენციის პასუხად, რომელიც შეეხებოდა აჭარის სატყეო სააგენტოში შემოსული შუახევის მაგისტრატი სამმართველოს 2024 წლის 14 მაისის №172 კორესპონდენციით გადმოგზავნილი, ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 15 მარტის დადგენილება (საქმე №231510023008256399 4- 78/23), რომელიც ეხება შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟანივრში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის აჭარისა და გურიის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლების მიერ აღმოჩენილი წიწვოვანი ჯიშის 1 ცალი მორის მოცულობით 1,25 კბმ, შემდგომი განკარგვის-გასხვისების მიზნით სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოზე გადმოცემას, ასევე ხე-ტყის მდგომარეობის შესახებ სრულყოფილი მასალებისა და ფოტოსურათების მოწოდებას შემდგომი განკარგვის მიზნით, გაცნობებთ, რომ: გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის აჭარისა და გურიის სამმართველოს თანამშრომლების მიერ 2023 წლის 12 ნოემბერს შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟანივრში შუახევის სატყეო ადმინისტრაციის ჭვანის სატყეოს N3 სამცველოს ტყის მცველის დამხმარე რეზო ქათამაძეზე ჩაბარებული იქნა 1 ცალი წიწვოვანი (სოჭის) ჯიშის I ხარისხის (სამასალე) ხე-ტყე, მოცულობით 1,25 კბმ, რომელზედაც ტყის წესების დამრღვევი პიროვნება არ არის გამოვლენილი.

სოჭის სახეობის მრგვალი I ხარისხის (სამასალე) ხე-ტყე, მოცულობით 1,25 კბმ (მორის სიგრძე 6 მეტრი, წვ. თავ. დიამეტრი 47 სმ.) 2023 წლის 12 ნოემბრის მიღება-ჩაბარების აქტით დროებითი შენახვის მიზნით ჩაბარებულია შუახევის სატყეო ადმინისტრაციის ჭვანის სატყეოს N3 სამცველოს ტყის მცველის დამხმარე რეზო ქათამაძეზე. ხე-ტყე მოჭრილია ჭვანის სატყეოს N3 სამცველოს კვარტალ N12-ში და განთავსებულია შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟანივრში ინდ. მეწარმე ოსმან ქათამაძის სახერხსაამქროსთან საავტომობილო გზის მიმდებარედ

3-6 მეტრის დაშორებით ღია ცის ქვეშ, განიცდის გარემო კლიმატური პირობების ზემოქმედებას. ასევე გაწვდით ხე-ტყის მდგომარეობის ამსახველ ფოტომასალას.

დანართი: 1 ფურცელი, 1 ფოტო.

პატივისცემით

რამაზ ტაკიძე

დირექტორი
შუახევის სატყეო ადმინისტრაცია